

საორიენტაციო ბიზნეს გეგმა

თაფლის დაფასოება და რეალიზაცია

მოცემული დოკუმენტის მიზანია მკითხველს შეუქმნას ძირითადი წარმოდგენები განხილული ბიზნეს პროექტის რენტაბელობასთან დაკავშირებით, ასევე შეუქმნას მას წარმოდგენა ისეთ მნიშვნელოვან ბიზნეს ნიშნულებზე, როგორცაა თვითღირებულება, მუდმივი ხარჯები, მოგება/ზარალი, ფულადი სახსრების მოძრაობა, უკუგების კოეფიციენტი, მოგების მარჟა, საინვესტიციო ღირებულება და სხვა.

შესაბამისი სატელევიზიო ვერსიები შეგიძლიათ იხილოთ:

1. აჭარის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ვებ გვერდზე: <http://ajaratv.ge/ge/shows>
2. Facebook გვერდზე: <https://www.facebook.com/agrorchevebi>

გადაცემაში მოყვანილი მოსაზრებები
ავტორისეულია და შესაძლოა არ ემთხვეოდეს
ევროკავშირისა და გაეროს მოსაზრებებს

ძირითადი ინფორმაცია

საზოგადოება იურიდიული პირია. იგი იურიდიული პირის სტატუსს და უფლებამოსილებას იძენს სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან. საზოგადოების ოფიციალური ენაა ქართული.

საზოგადოების საქმიანობის საგანს წარმოადგენს თავლის ჩამოსხმა, დაფასოება და რეალიზაცია. საზოგადოების ძირითადი მიზანი არის მოგების მიღება.

პროექტი გათვლილია გრძელვადიან პერიოდზე. საზოგადოების ამოცანა არის ბაზრების ათვისება და პროდუქტის ასორტიმენტის მუდმივი ზრდა. საწარმო განთავსებული იქნება ბათუმის ერთ-ერთ გარეუბანში, დისტრიბუციისთვის ხელსაყრელ ადგილას.

წინაპირობები

1. ბიზნეს-გეგმა შემუშავებულია ერთწლიან საანგარიშო პერიოდზე;
2. ხარჯები და შემოსავლები დათვლილია აჭარაში მოქმედი საბაზრო ფასების მიხედვით;
3. პროექტით გათვალისწინებულია 11,5 ტონა თავლის ჩამოსხმა-რეალიზაცია;
4. საშუალო საწარმოო დანაკარგად აღებულია თავლის მთლიანი მოცულობის 2 პროცენტი;
5. ჩამოსასხმელი თავლის სახეობა არის შერეული;
6. სარეალიზაციო შეფუთვები წარმოდგენილია 250, 320 და 500 გრამიანი ქილების სახით;
7. პროდუქციის სარეალიზაციო ბაზარი შემოიფარგლება ქალაქ ბათუმით;
8. წარმოების ძირითადი საშუალებების განთავსებისა და საწარმოო პროცესის წარმართვისათვის გათვალისწინებულია 70 კვადრატული მეტრის ფართი;
9. ბიზნესის საინვესტიციო მოცულობა შეადგენს 217 000 ლარს;
10. ბიზნესის რენტაბელობა დათვლილია, როგორც საკუთარი, ასევე მოზიდული სახსრების შემთხვევაში;
11. საგადასახადო ვალდებულებები ნაჩვენებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

12. წლის ბოლოს არ არსებობს საქონლის მოძრაობის შედეგად წარმოქმნილი დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები;
13. გაანგარიშებები გაკეთებულია ეროვნულ ვალუტაში.

ბაზრის ანალიზი

ბათუმში სხვადასხვა წონადობის შეფუთული თაფლი ძირითადად მსხვილ სავაჭრო ობიექტებში იყიდება. მათ უმრავლესობაში არის როგორც ქართული ასევე იმპორტირებული თაფლი. ამ სახით პროდუქცია სავაჭრო ქსელში, ძირითადად, მეწარმეებს შეაქვთ. თუმცა, ბათუმში არის მსხვილი სავაჭრო ობიექტები, სადაც თაფლის რეალიზაცია საერთოდ არ ხდება. მათი წარმომადგენლების განცხადებით მიზეზად პროდუქციის არასათანადო შეფუთვა და საექვო ხარისხობრივი მაჩვენებლები სახელდება. ბათუმში თაფლის რეალიზაცია ხდება ასევე აგრარულ ბაზრებსა და შედარებით მცირე, ზოგიერთ შემთხვევაში კი, სპეციალიზირებულ მაღაზიებში, თუმცა ხშირად, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, მას საბაზრო სახე არ აქვს.

„ენპარდი“-ს პროგრამის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვით დადგინდა, რომ ერთი ოჯახი, წლის განმავლობაში, საშუალოდ, 2 კილოგრამამდე თაფლს მოიხმარს. საქსტატის ოპერატიული მონაცემების მიხედვით 2015 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, ბათუმის მოსახლეობა შეადგენს 154 ათას კაცს. ანუ საშუალოდ 38 500 ოჯახი (თუ პირობითად 4 სულს ვიანგარიშებთ ერთ ოჯახში). შესაბამისად, თაფლის რაოდენობა, რომელიც ამ ოჯახების მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს უნდა იყოს 77 ტონა (38,500 X 2).

ქალაქის სხვადასხვა უბანში მდებარე ხუთი მსხვილი სავაჭრო ობიექტის გამოკითხვის შედეგად გარიკვა, რომ 2014 წელს განხორციელდა 2 ტონამდე შეფუთული თაფლის რეალიზაცია. თუ დავუშვებთ იმ ფაქტს, რომ მცირე ზომის სავაჭრო ობიექტებში ორჯერ უფრო მეტი ანუ 4 ტონა გაიყიდა, მივიღებთ 2014 წელს ბათუმში რეალიზებული თაფლის მოცულობას - 6 ტონას, რაც იმას ნიშნავს, რომ გასულ წელს, თაფლის პროდუქტებით, არსებული მოთხოვნილების მხოლოდ 8 პროცენტი დაკმაყოფილდა ($6/77 * 100$).

აღსანიშნავია ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ თაფლის ჩამოსხმასა და ეტიკეტირებას ამ ეტაპზე აჭარაში მხოლოდ ორი კომპანია ეწევა. მათგან ერთი მტირალას ეროვნული პარკის დამხმარებუფერული ზონის მეფუტკრეებს, ხოლო მეორე ძირითადად ბათუმსა და ხელვაჩაურის

მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მეფუტკრეებს ემსახურება. ორივე კომპანია ქილებში ჩამოსხმული და ეტიკეტირებული თაფლის რეალიზაციას როგორც აჭარაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც ახდენს.

აღნიშნული ფაქტი, ნათლად გვიჩვენებს რომ ბაზარი არ არის გაჯერებული მსგავსი პროდუქციით. ამასთანავე წარმოების ამ მიმართულებაში მომუშავე კომპანიების რიცხვი არის ძალიან მცირე, რაც ბიზნესის კონკურენტულობის და მომგებიანობისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

პროდუქცია

საწარმოს შეუძლია ნებისმიერი სახეობის თაფლის ჩამოსხმა/რეალიზაცია. თუმცა პროექტისთვის ჩამოსასხმელი თაფლის სახეობად აღებულია შერეული თაფლი. სარეალიზაციო შეფუთვები წარმოდგენილია 250, 320 და 500 გრამიანი ქილების სახით; პროექტის ფარგლებში საწარმო ახორციელებს 11 475 კგ თაფლის რეალიზაციას.

ფიქსირებული აქტივები

საწარმოო პროცესში საჭირო ძირითადი საშუალებები:

	დასახელება	ღირებულება (ლარი)
1	ძირითადი საშუალება: თაფლის ჩამოსასხმელი აპარატი	7500
2	ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	500
3	კომპიუტერი	600
4	ბუღალტრული პროგრამა	800

ეს არის ძირითადი საშუალებების მინიმალური ოდენობა, რომელიც თაფლის ჩამოსხმელი საწარმოს არსებობის პირველი წლისათვის იქნა გათვალისწინებული ბიზნეს გეგმის შემუშავებისას.

ადამიანური რესურსები

საწარმოს ბიზნეს საქმიანობის პირველი წლისათვის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნა 4 მუდმივი თანამშრომელი, რომელთაც განსაზღვრული ექნებათ კონრეტული ამოცანები. სათავეში იდგება საწარმოს *მენეჯერი*, რომელიც კოორდინირებას გაუწევს ბიზნეს პროცესს (დარიცხული ხელფასი 1000 ლარი თვეში). შემდეგი რგოლი სტრუქტურაში იქნება *ტექნოლოგი*, რომელიც გულისხმობს ჩამოსხმის ტექნოლოგიის ცოდნას და პრაქტიკულ წარმართვას (დარიცხული ხელფასი 625 ლარი თვეში). ასევე მნიშვნელოვანია *ტექნიკული პერსონალი*, რომლებიც უშუალოდ იქნება ჩართული ყოველდღიურ ოპერაციულ საქმიანობაში (დარიცხული

ხელფასი 375 ლარი თვეში). საწარმოს სტრუქტურის ფინანსური ჯგუფის წარმომადგენელი იქნება *ბულალტერი*. მის მოვალეობაში შევა საწარმოს ფინანსური ნაკადების რეგულირება, წლის ბოლოს საწარმოს ბიუჯეტის ბალანსირება და საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა (დარიცხული ხელფასი 300 ლარი თვეში).

ფინანსური ინფორმაცია

აღნიშნული ბიზნესის დასაწყებად საჭიროა 217 000 ლარის ოდენობის კაპიტალდაბანდება. ეს არის ის თანხა, რომელიც ძირითადი საშუალებების, ნედლეულის და შესაფუთი მასალების შეძენას და სხვა ხარჯების გასტუმრებას უნდა მოხმარდეს.

საქმიანობის საწყის ეტაპზე, საწარმოს მიერ უნდა მოხდეს თავლის ჩამომსახმელი აპარატის შეძენა. აღნიშნული ბიზნეს - გეგმა გათვლილია თავლის მინის ქილებში ჩამოსასხმელ ავტომატურ მოწყობილობაზე შემდეგი მახასიათებლებით:

- ტიპი: კარუსელური;
- მართვა: ელექტრონული;
- გამოყენებული მასალები: უჟანგავი;
- სიგრძე: 80 სანტიმეტრი;
- სიგანე: 80 სანტიმეტრი;
- სიმაღლე: 1 მეტრი და 40 სანტიმეტრი;
- ძაბვა: 220 ვოლტისა და 50 ჰერცის სიმძლავრე, სტაბილური ძაბვა;
- ელექტროენერგიის ხარჯი: 0,5 კილოვატი საათში;
- წარმადობა: 400-დან 1000 ქილამდე საათში;
- განუწყვეტელი მუშაობის დრო: 12 საათი;
- გამოსაყენებელი ქილის მოცულობა: 100-დან 500 გრამამდე;
- დოზირება: 100-დან 500 გრამამდე;
- მუშაობისათვის ოპტიმალური ტემპერატურა: +15, +30 გრადუსი ცელსიუსით;
- დოზიდან დასაშვები გადახრა: 2%.

წარმოების ძირითადი საშუალებების განთავსებისა და საწარმოო პროცესის წარმართვისათვის გათვალისწინებულია 70 კვადრატული მეტრის ფართი, რომელიც ჩვენს შემთხვევაში აღებული იჯარის პირობით, იჯარის თანხა შეადგენს თვიურ 500 ლარს დღგ-ს გარეშე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ საწარმოს სარეალიზაციო შეფუთვები წარმოდგენილია 250, 320 და 500 გრამიანი ქილების სახით; კომპონენტები რომლებიც თითოეული პროდუქტის თვითირებულების ფორმულირებას ახდენენ არის ქილა, ხუფი, ეტიკეტი და თავად თავლი. აჭარაში მოქმედი საბაზრო ფასების მიხედვით, 1 კილოგრამი თავლის საშუალო შესასყიდი ფასი 13 ლარია. ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით, შეგვიძლია ვნახოთ რა ღირებულებისაა თითოეული წარმოებული პროდუქტი :

გაყიდული თავლი	ქილების შეფუთვა კგ-ში	ტარის ფასი			13	სულ ერთეულის ღირებულება
		ქილა	ხუფი	ეტიკეტი	თავლის ფასი	
1	2	3	4	5	6	7
შერეული თავლი	0,500	0,41	0,15	0,16	5,33	6,05
	0,320	0,29	0,13	0,15	3,73	4,30
	0,250	0,27	0,11	0,12	3,52	4,03

თუ ამ მაჩვენებლებს პროცენტებში გადავიყვანთ, დავინახავთ, რომ მასში ყველაზე მეტი წილი, 88 პროცენტი მოდის თავად თავლზე, 7 პროცენტი ქილაზე, 3 პროცენტი ეტიკეტზე, ხოლო 2 პროცენტი ხუფზე.

გამოცდილებამ აჩვენა, რომ სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მსგავსად თავლის რეალიზაციაც სეზონურობით ხასიათდება. ეს იმას ნიშნავს, რომ წლის განმავლობაში არის პერიოდები, როდესაც მისი გაყიდვები იზრდება ან მცირდება. თუ მთელ წელს დავყოფთ კვარტლებად, დავინახავთ, რომ გაყიდვების ყველაზე მეტი წილი, 60 პროცენტი, მოდის მეოთხე კვარტალზე ანუ ოქტომბრიდან იანვრამდე პერიოდზე, 20 პროცენტი - პირველ კვარტალზე, 10 პროცენტი მეორე კვარტალზე და ასევე 10 პროცენტი მესამე კვარტალზე. გაყიდვადობის მიხედვით, შეფუთვებს შორის, ყველაზე მეტად რეალიზებადი არის 250 გრამიანი ქილა, შედარებით ნაკლებად რეალიზებადი 320 გრამიანი ქილა, ხოლო კიდევ უფრო ნაკლებად რეალიზებადი 500 გრამიანი ქილა. ამასთანავე აღსანიშნავია ის ფაქტი რომ გაანგარიშების დროს გათვალისწინებულია საწარმოო დანაკარგების 2 % იანი მაჩვენებელი.

ამ მოცემულობების გათვალისწინებით, შესყიდვების მაჩვენებლები კვარტლების მიხედვით ასეთი იქნება:

გაყიდული თაფლი	ქილების შეფუთვა კგ-ში	ღირებ ულება	4 კვარტალი		1 კვარტალი		2 კვარტალი		3 კვარტალი	
			ერთეუ ლი	ფასი	ერთეუ ლი	ფასი	ერთეუ ლი	ფასი	ერთეუ ლი	ფასი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
შერეული თაფლი	0,500	6,05	2 550	15 300	850	5 100	425	2 550	425	2 550
	0,320	4,30	4 260	19 170	1 420	6 390	710	3 195	710	3 195
	0,250	4,03	17 100	68 400	5 700	22 800	2 850	11 400	2 850	11 400
ჯამი:			23 910	102 870	7 970	34 290	3 985	17 145	3 985	17 145

რაც შეეხება რეალიზაციას, აჭარაში თაფლის საშუალო სარეალიზაციო ფასი არის 23 ლარი. აღნიშნულის გათვალისწინებით გაყიდვებისა მაჩვენებლები ჯამურად ასეთი იქნება:

ამონაგები თანხა რეალიზაციიდან	ქილებ ის შეფუთვა კგ-ში	ერთეუ ლი ქილის ფასი	სულ შემოსავალი		კილოგრამი
			რეალიზებუ ლი ერთეული	შემოსავალი რეალიზაციიდან	
1	2	3	4	5	6
შერეული თაფლი	0,500	11,50	4 150	47 730	2 075
	0,320	7,50	6 950	52 130	2 224
	0,250	5,80	27 800	161 240	6 950
სულ შემოსავლები:			38 900	261 100	11 249

მოგება და ზარალი

იმისათვის რომ შევაფასოთ კომპანიის ფინანსურის შესრულება დროის მოცემულ მომენტში, უნდა განვიხილოთ საწარმოს მოგება/ზარალის უწყისი. ეს არის ხარჯებისა და შემოსავლების შეპირისპირება, რომელიც გვაძლევს საშუალებას ფინანსურის ანალიზისთვის.

შემოსავალი			
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან			261 100
გაყიდული საქონლის თვითღირებულება			
საწყისი მარაგები		0	
დამატებული	შესყიდვები	149 850	
	საქონლის ტარა	16 300	
	ეტიკეტი	5 300	
გამოკლებული საბოლოო მარაგები		0	
გაყიდული საქონლის თვითღირებულება			171 450
ხარჯები			
ხელფასი		27 600	
კომუნალური მომსახურება (დენი, წყალი, გაზი)		960	
იჯარა		6 000	
ქონების გადასახადი		40	
სხვა ხარჯები		1 120	
მთლიანი ხარჯები			35 720
დასაბეგრი მოგება			53 930
მოგების გადასახადი (15%)			8 090
წმინდა მოგება			45 840

როგორც უკვე ვიცით, 2 პროცენტიანი საწარმოო დანაკარგის გათვალისწინებით, ჩამოსხმული თავლის სრულად რეალიზაციისგან საწარმოს მიერ მიღებული წლიური შემოსავალი 261 100 ლარია. თუ ამას, იმ დაშვებით, რომ კომპანიას არ ექნება საწყისი და საბოლოო მარაგები, გამოვაკლებთ ჩამოსასხმელი თავლის ღირებულებას, რომელიც შეადგენს 149 850 ლარს, ტარის საფასურს, რომელშიც შეყვანილია ქილის, ეტიკეტის და ხუფის ხარჯები და შეადგენს 21 600 ლარს, ხელფასს, რომელიც 4 დასაქმებულზე, ერთი წლის განმავლობაში, შეადგენს 27 600 ლარს, კომუნალურ ხარჯებს, რომელშიც იგულისხმება ელექტროენერჯისა და წყლის გადასახადი და აღწევს 960 ლარს, იჯარას, რომელიც დაქირავებული ფართის შემთხვევაში, 70 კვადრატულ მეტრზე, არსებული საშუალო საბაზრო ფასების გათვალისწინებით, წელიწადში შეადგენს 6 000 ლარს, ქონების გადასახადს, რომელიც დაანგარიშებულია ძირითადი საშუალებების საშუალო წლიური ღირებულების გათვალისწინებით, შეადგენს 40 ლარს და სხვა გადასახადებს, რომელშიც იგულისხმება საკანცელარიო, თავლის ლაბორატორიული შემოწმების და სატრანსპორტო ხარჯები და შეადგენს 1 120 ლარს, დაგვრჩება 53 930 ლარი, რაც დასაბეგრი მოგებაა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, მოგების გადასახადი, იურიდიული პირებისთვის, 15 პროცენტია. შესაბამისად თუ ამ თანხას გამოვაკლებთ 15 პროცენტს, რომელიც შეადგენს 8 090 ლარს, დაგვრჩება 45 840 ლარი წმინდა მოგება. აღნიშნული თანხა

შესაძლებელია დამფუძნებელმა გაიტანოს დივიდენდის სახით და დაბეგროს სსკ-ის მიხედვით 5%-იანი განაკვეთით, ან მოახდინოს რეინვესტირება და მიღებული წმინდა მოგება სრულად მოახმაროს კომპანიის განვითარებას.

ამასთავე, მიღებული მაჩვენებლების მიხედვით შეგვიძლია განვსაზღვროთ მოგების მარჟა ანუ გავარკვიოთ თუ გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლის რა რაოდენობა წარმოადგენს მოგებას. როგორც წესი, მოგების მარჟას ითვლიან გარკვეული პერიოდის წმინდა მოგების იმავე პერიოდის შემოსავალთან შეფარდებით. შესაბამისად, თუ მოცემულ შემთხვევაში გამოთვლილ წმინდა მოგებას ანუ 45 840 ლარს გავყოფთ საქონლის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალზე ანუ 261 100 ლარზე და პროცენტული მაჩვენებლის გამოთვლის წესის თანახმად გავამრავლებთ 100-ზე, მივიღებთ 17 პროცენტს, რაც მოგების მარჟაა. უფრო კონკრეტულად კი ეს არის პროცენტული მაჩვენებელი იმ თანხის რაოდენობისა, რომელიც თაფლის ჩამოსხმა-რეალიზაციის შემთხვევაში, მეწარმის წმინდა მოგება იქნება ყველა მომდევნო საწარმოო ციკლში.

საწარმოს ნულოვანი მოგება

საწარმოს საქმიანობის ეფექტურობის შესაფასებლად შეგვიძლია განვიხილოთ ნულოვანი მოგება, რაც გულისხმობს პროდუქციის იმ რაოდენობის გამოთვლას, რომლის წარმოება-რეალიზაციაც მეწარმეს სრულად დაუფარავს როგორც საწარმოო ასევე მუდმივ ხარჯებს. ეს მაჩვენებელი საშუალებას მოგვცემს განსაზღვროთ, რამდენად სწრაფად შეძლებს საწარმო მუდმივი და ცვლადი ხარჯების დაფარვას და მომგებიანობის ეტაპზე გადასვლას. გამოთვლების შედეგად, დგინდება რომ საწარმომ უნდა შეისყიდოს 4 636 კგ თაფლი და მოახდინოს მათი რეალიზაცია, რათა სრულად შეძლოს საწარმოო დანახარჯების გადაფარვა:

გაყიდული თაფლი	ქილების შეფუთვა კგ-ში	ღირებულება	სულ გაყიდვები		კილოგრამი
			ერთეული	ღირებულება	
1	2	3	12	13	14
შერეული თაფლი	0,500	6,05	1 717	10 400	859
	0,320	4,30	2 862	12 300	916
	0,250	4,03	11 447	46 100	2 862
ჯამი:			16 025	68 800	4 636

2 პროცენტიანი საწარმოო დანაკარგის გათვალისწინებით, მეწარმე აღნიშნული რაოდენობის ნედლეულის ჩამოსხმა-რეალიზაციისგან, ჯამში, 104 500 ლარის ოდენობის შემოსავალს მიიღებს. თუ ამას გამოვაკლებთ თვითღირებულების დანახარჯს, რომელიც შეადგენს 68 800

ლარს და მუდმივ ხარჯებს, რომელიც ჯამში 35 700 ლარია, მივიღებთ 0 ლარს, რაც იმას ნიშნავს, რომ წარმოების ამ ეტაპზე საწარმო ხარჯებიდან ამოსულია, ამის შემდეგ ჩამოსხმული და რეალიზებული ყველა ერთეული შეფუთვა კი უკვე მოგებას ნიშნავს.

ვინაიდან, პროექტი გათვლილია 11,5 ტონა თაფლის ჩამოსხმა-რეალიზაციაზე, ამ დაანგარიშებებით გამოდის, რომ საწარმომ უნდა გადაამუშავოს და გაყიდოს საერთო რაოდენობის (11,5 ტონის) 40 პროცენტი მაინც, რათა მოგებაზე გავიდეს.

ბალანსი

რაც შეეხება საწარმოს ბიზნესის ფინანსურ მდგომარეობას წლის ბოლოს, კერძოდ კი საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის შესახებ ინფორმაციას შევაფასებთ საწარმოს ბალანსის მიხედვით. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ პროექტის ფარგლებში არსებობს დაშვება რომ წლის ბოლოს ყველა დებიტორული და კრედიტორული დავალიანება არის დაფარული, რის გამოც ბალანსში არ არის მონაცემები საწარმოს ვალდებულებების შესახებ.

ბალანსის უწყისი

აქტივები	
მიმდინარე აქტივები:	
ნაღდი ფული	251 700 GEL
მთლიანი მიმდინარე აქტივები	251 700 GEL
ძირითადი საშუალებები:	
ავეჯი და ოფოსის მოწყობილობა	500 GEL
კომპიუტერი	600 GEL
მოწყობილობა და დანადგარები	7 500 GEL
მთლიანი ძირითადი საშუალებები	8 600 GEL
არამატერიალური აქტივები:	
ბუღალტრული პროგრამა	800 GEL
მთლიანი არამატერიალური აქტივები	800 GEL
მთლიანი აქტივები	261 100 GEL

ვალდებულებები და კაპიტალი	
მიმდინარე ვალდებულებები:	
დარიცხული მოგების გადასახადი	8 090 GEL
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	8 093 GEL
კაპიტალი:	
საკუთარი კაპიტალი	207 170 GEL
გაუნაწილებელი მოგება	45 840 GEL
მთლიანი კაპიტალი	253 010 GEL
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	261 100 GEL

ბალანსის მიხედვით დგინდება, რომ საწარმოს წლის ბოლოს აქვს 261 100 ლარის მთლიანი

აქტივები, რომლებიც შედგება მიმდინარე აქტივებისა და მატერიალური და არამატერიალური აქტივებისგან.

ამასთანავე აქვს გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს 45 840 ლარის ოდენობით, რომელიც დამფუძნებელს შეუძლია გაიტანოს დივიდენდის სახით.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგება ანუ ეგრეთ წოდებული „ქეშფლოუ“, წარმოადგენს უწყისს, რომელშიც, კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, კომპანიაში შემომავალი და გამავალი ფულადი სახსრებია ასახული. მისი საშუალებით, კომპანიის მფლობელს შეუძლია პროგნოზის გაკეთება, რა მოცულობის ფულადი სახსრები ექნება კონკრეტული პერიოდისთვის.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება				
	4 კვარტალი	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი
ფულადი ნაკადების ჯამური მაჩვენებელი				
კვარტლის დასაწყისში ხელმისაწვდომი ფულის ოდენობა	0 GEL	237 814 GEL	246 577 GEL	246 755 GEL
კვარტლის ბოლოს ხელმისაწვდომი ფულის ოდენობა	237 814 GEL	246 577 GEL	246 755 GEL	246 934 GEL
ფულადი ნაკადების დაანგარიშგება				
<i>ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან</i>	41 263 GEL	8 763 GEL	178 GEL	178 GEL
შემოსული ფულადი სახსრები საქონლის რეალიზაციიდან	167 302 GEL	63 085 GEL	31 542 GEL	31 542 GEL
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	126 039 GEL	54 321 GEL	31 364 GEL	31 364 GEL
შეძენილი საქონელი (თაფლი)	113 487 GEL	41 520 GEL	20 760 GEL	20 760 GEL
კომუნალური გადასახადები	240 GEL	240 GEL	240 GEL	240 GEL
იჯარა	1 500 GEL	1 500 GEL	1 500 GEL	1 500 GEL
ხელფასის სახით განაცემი	6 900 GEL	6 900 GEL	6 900 GEL	6 900 GEL
სხვა ხარჯები	280 GEL	280 GEL	280 GEL	280 GEL
საგადასახადო ხარჯი	3 632 GEL	3 882 GEL	1 684 GEL	1 684 GEL
<i>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>	196 550 GEL	0 GEL	0 GEL	0 GEL
საინვესტიციო შემოსავალი	205 950 GEL	0 GEL	0 GEL	0 GEL
კაპიტალში შენატანი	205 950 GEL			
საინვესტიციო ხარჯები	9 400 GEL	0 GEL	0 GEL	0 GEL
ძირითადი საშუალება	7 500 GEL			
ავეჯი და ოფოსის მოწყობილობა	500 GEL			
კომპიუტერი	600 GEL			
ბუღალტრული პროგრამა	800 GEL			

დაფინანსების წყაროები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საწარმოს საქმიანობის დასაწყებად საჭიროა 217 000 ლარის ოდენობის კაპიტალდაბანდება. საწარმოო ინვესტირება შესაძლებელია სრულად იქნას განხორციელებული საწარმოს დამფუძნებლის მიერ, ასევე შესაძლებელია ნებისმიერი პროპორციის მიხედვით განაწილებულ იყოს დამფუძნებლის პირადი შენატანითა და შედარებით დაბალპროცენტიანი სესხით, ასევე შესაძლებელია საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებითაც.

პირველ რიგში განვიხილოთ შემთხვევა როცა საწარმოო ინვესტირება სრულად განხორციელდა საწარმოს დამფუძნებლის მიერ. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ინვესტიციის უკუგების კოეფიციენტი. ამაში იგულისხმება ეკონომიკური რენტაბელობა ანუ ინვესტიციების ეფექტიანობა და მისი გამოანგარიშება მოგების დაბანდებულ კაპიტალთან შეფარდებით ხდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინვესტიციების უკუგების კოეფიციენტი გვიჩვენებს თუ რა რაოდენობის მოგებას მოგვცემს ყოველი ინვესტირებული ერთი ლარი. მოცემულ შემთხვევაში მოგება შეადგენს 45 840 ლარს, ხოლო ინვესტიცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 217 000 ლარს. შესაბამისად, მათი შეფარდება და ასზე გამრავლება გვაძლევს 22 პროცენტიან უკუგების კოეფიციენტს, რაც იმას ნიშნავს, რომ თაფლის ჩამოსხმა-რეალიზაცია ინვესტორს ყოველ დაბანდებულ 1 ლარზე 22 თეთრიან მოგებას მოუტანს. ამ პირობით, მოგების მარჟა, როგორც უკვე ვიცით, 17 პროცენტია, ეს საკმაოდ კარგი მაჩვენებელია საწარმოს საქმიანობის პირველი წლისათვის.

იმ შემთხვევაში თუკი საწარმოს საქმიანობის განსახორციელებლად გამოიყენებს გრძელვადიან სასესხო ვალდებულებას, კერძოდ კი 100 000 ლარის ოდენობის 11,8 პროცენტიან სესხს კომერციული ბანკიდან, 3 წლის ვადით, ხოლო დანარჩენი თანხა იქნება დამფუძნებლის პირადი შენატანი, მაშინ მოგების მარჟა 5,4 პროცენტამდე შემცირდება, მაგრამ უკუგების კოეფიციენტი დარჩება იგივე ანუ 22 პროცენტი.

ბიზნესის რენტაბელობის საბოლოო შეფასება

საერთოდ, ბიზნესის რენტაბელობა რამდენიმე პარამეტრით, მათ შორის კონკრეტულ დარგში არსებული კონკურენციით, ბაზრის თავისებურებით, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებით, გაყიდვების მაჩვენებლებით და მოსალოდნელი მოგების მარჟით ფასდება. გაანგარიშებებმა ნათლად აჩვენა, რომ თავლის ჩამოსხმა, ყველა მათგანის შემთხვევაში, დადებითად ხასიათდება. კერძოდ, წარმოების ამ მიმართულებაში მომუშავე კომპანიების რიცხვი არის ძალიან მცირე, ბაზარი არ არის გაჯერებული მსგავსი პროდუქციით, პროდუქციის თვითღირებულება ჯდება ნორმის ფარგლებში და გაყიდვების მაჩვენებლები არის დამაკმაყოფილებელი. რაც შეეხება, მოგების მარჟას, როგორც უკვე ვნახეთ საქმიანობის ფინანსური ანალიზის შედეგად იგი წარმოადგენს 17%-ს. ამ მაჩვენებლის მიხედვით კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თავლის წარმოება არის საშუალო რენტაბელობის ბიზნესი, რომელიც მოკლევადიან პერიოდში, საშუალო ოდენობის მოგებაზეა ორიენტირებული. ამ ტიპის სამეწარმეო საქმიანობა მომგებიანია იმ თვალსაზრისითაც, რომ არ მოითხოვს ძვირადღირებული საწარმოო საშუალებების შეძენას და ამ მიმართულებით გაწეული დანახარჯების ამოღება მეწარმეს მოკლე პერიოდში შეუძლია.

საწარმოო სტანდარტები და სურსათის უვნებლობა

ბევრი მცირე თუ დიდი საწარმოს მსგავსად, სადაც საკვები პროდუქტები მზადდება, თავლის ჩამოსასხმელი საამქროსთვისაც წაყენებული ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვაა. შესაბამისად, შენობაში აუცილებლად უნდა იყოს მოწყობილი გასახდელი და სველი წერტილები. გარდა ამისა საამქრო აღჭურვილი უნდა იყოს ლაბორატორიითაც, სადაც თავლის შემოწმება იქნება შესაძლებელი. საწარმოო სტანდარტებით დადგენილი მოთხოვნაა ასევე, რომ საამქროს ცალკ-ცალკე ჰქონდეს ნედლეულის მიმღები და პროდუქციის გასაცემი შესასვლელ-გასასვლელები. შენობაში ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი უკვე დამზადებული პროდუქციის შესანახი სათავსოც. ოპტიმალური ტემპერატურა, რომელშიც ჩამოსხმული თავლის ხანგრძლივად შენახვაა შესაძლებელი, +5-დან +20 გრადუსამდეა, ხოლო ტენიანობა 60 პროცენტი. რაც შეეხება საწარმოო სტანდარტებთან და სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ სხვა მოთხოვნებს, რომლებსაც თავლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი ადგენს, შემდეგია:

- ბაზარზე განთავსებული თაფლი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უვნებლობის მაჩვენებლებს;
- ბაზარზე განთავსებული თაფლის ეტიკეტმა, აღწერილობამ და წარდგენამ შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს მომხმარებელი;
- თაფლის შერეული პროდუქტის ეტიკეტზე დაშვებულია გამოყენებული იქნას ტერმინი - „თაფლის ნარევი“, მაგალითად, ცვარტკბილის და ყვავილის ნექტარის თაფლის შერეული პროდუქტის ეტიკეტზე დაშვებულია გამოყენებული იქნას ტერმინი - „ცვარტკბილის თაფლისა და ყვავილის ნექტარის თაფლის ნარევი“;
- ტარაზე მითითებული უნდა იყოს პროდუქტის დასახელება, პარტიის ნომერი და მიმწოდებლის, დამამზადებლის ან შემფუთავის მისამართი;
- დაუშვებელია ბაზარზე განთავსებულ თაფლში საკვებდანამატების და სხვა საკვები ინგრედიენტების დამატება. მას არ უნდა ჰქონდეს უცხო სუნი და გემო, რომელიც წარმოიქმნება შენახვისა და გადამუშავების დროს;
- თაფლი არ უნდა დაექვემდებაროს ფერმენტაციასა და დუღილს. თაფლში არსებულ ბუნებრივ ფერმენტებს შენარჩუნებული უნდა ჰქონდეთ ფერმენტული აქტივობა;
- დაუშვებელია თაფლიდან ყვავილის მტკერის ან სხვა შემადგენელი კომპონენტების მოცილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს განპირობებულია მასში მოხვედრილი უცხო, არაორგანული და ორგანული ნივთიერებების მოცილების აუცილებლობით;
- დაუშვებელია თაფლის გაცხელება და გადამუშავება ისე, რომ შეცვლილი იქნეს მისი ძირითადი მაჩვენებლები;
- დაუშვებელია თაფლის მჟავიანობის ხელოვნურად შეცვლა;

შემადგენლობის მიხედვით კი შერეული თაფლის 100 გრამში შეიძლება იყოს:

- არანაკლებ 45 გრამი შაქრის, კერძოდ გლუკოზის და ფრუქტოზის ჯამური შემცველობა;
- არაუმეტეს 5 გრამისა საქაროზა;
- არაუმეტეს 20 პროცენტი მასური წილისა სინესტე;
- 0,1 გრამი წყალში უხსნადი ნაწილაკები;

თაფლის შესახებ რეგლამენტით დადგენილია ასევე სხვა დამატებითი მოთხოვნებიც, რომელთა გათვალისწინებაც მეწარმისთვის აუცილებელია პროდუქციის ბაზარზე შეუფერხებლად გატანისა და რეალიზაციისთვის.